

# დებულება ზონალური წარმომადგენლობების შექმნისა და საქმიანობის შესახებ

## 1. ზონალური წარმომადგენლობების შექმნის წესი

- 1.1. რეგიონებთან ეფექტური კოორდინაციის მიზნით იქმნება აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ზონალური წარმომადგენლობები.
- 1.2. ზონალურ წარმომადგენლობას ხელმძღვანელობს ზონალური წარმომადგენელი.
- 1.3. ზონალური წარმომადგენლის საქმიანობის უკეთ და ეფექტურად განხორციელების მიზნით იქმნება ზონალური წარმომადგენლის აპარატი, რომელშიც შესაძლებელია შედიოდნენ: მოადგილე (არაუმეტეს ორის), საქმის მწარმოებელი, ასევე თანამშემწეები სხვადასხვა საკითხების მოგვარების უზრუნველსაყოფად.
- 1.4. ზონალურ წარმომადგენლობებში საშტატო ერთეულებს განსაზღვრავს და ასევე კონკრეტულ თანამდებობაზე ამა თუ იმ პიროვნების დანიშვნას უზრუნველყოფს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის აღმასკომი, ზონალური წარმომადგენლის წარდგინებით.

## 2. ზონალური წარმომადგენლობების საქმიანობის სფერო

ზონალური წარმომადგენლობები უზრუნველყოფენ:

- 2.1 ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მითითებით ადგილობრივი და საერთაშორისო ჩემპიონატების და ტურნირების გამართვას.
- 2.2 ქვეყანაში ცხოვრების ჯანსაღი წესის რეალურად დამკვიდრებას, მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ჩაბმას სპორტულ მოძრაობაში;
- 2.3 საქართველოს ძიუდოს ეროვნულ ფედერაციასთან შეთანხმებით ყველა იმ საქმიანობის განხორციელებას, რომელიც ხელს უწყობს საქართველოში ძიუდოს შემდგომ განვითარებას.

## 3. ზონალური წარმომადგენლის უფლებამოსილება და არჩევის წესი

- 3.1. ზონალურ წარმომადგენელს 4 წლის ვადით ირჩევს საქართველოს ძიუდოს ფედერაციის აღმასკომი და შესაბამის ზონალურ ერთეულში მოღვაწე მწვრთნელები.

3.2. ზონალური წარმომადგენლის არჩევნების თარიღს არჩევნებამდე არანაკლებ 20 დღით ადრე ადგენს და აქვეყნებს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია.

3.3. არჩევნებამდე 10 დღით ადრე შესაბამის ზონალურ ერთეულში მოღვაწე მწვრთნელებმა უნდა გააკეთონ წერილობითი განაცხადი არჩევნებში ხმის უფლების მქონე დელეგატად დარეგისტრირების თაობაზე.

3.4. განაცხადი ასევე გაკეთებულად ჩაითვლება, თუკი იგი გამოგზავნილი იქნება ფედერაციის ოფიციალურ ან ამ არჩევნებისთვის შექმნილ ელექტრონულ ფოსტაზე.

3.5. არჩევნებამდე 5 დღით ადრე საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია განსაზღვრავს და აქვეყნებს არჩევნებში ხმის უფლების მქონე დელეგატთა სიას.

3.6. კანდიდატებმა ზონალური წარმომადგენლის თანამდებობის დასაკავებლად, არჩევნებამდე 15 დღით ადრე უნდა გააკეთონ წერილობითი განაცხადი საქართველოს ძიუდოს ეროვნულ ფედერაციაში.

3.7. არჩევნებში საკუთარი კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, რომელსაც შეუსრულდა 22 წელი.

3.8. ორი ან მეტი კანდიდატის არსებობის შემთხვევაში ხმის მიცემა ხდება ფარული კენჭისყრის ფორმატით. ყველა დანარჩენი პროცედურა არჩევნების მიმდინარეობასთან დაკავშირებით რეგულირდება საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის წესდების შესაბამისი მუხლების მიხედვით.

3.9. არჩევნებში გამარჯვებულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მოაგროვებს მონაწილეთა ხმების უმრავლესობას.

3.10. შედეგების გამოცხადებისთანავე გამარჯვებული კანდიდატი იკავებს ზონალური წარმომადგენლის თანამდებობას.

3.11. ზონალურ წარმომადგენელს შესაძლებელია ჰქონდეს საკუთარი ბლანკი და ბეჭედი, რომელსაც ქმნის და ზონალურ ფედერაციას გადასცემს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია

3.12. ზონალური ფედერაციის ბლანკით და შესაბამისი ბეჭდის გამოყენებით განსაზღვრულ ყველა ურთიერთობაზე პასუხისმგებელია შესაბამისი ზონალური წარმომადგენლობის ხელმძღვანელი.

3.13. ზონალური წარმომადგენელი ანგარიშვალდებულია საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის აღმასკომის წინაშე. მისი მხრიდან უფლებამოსილების არასწორად ან არაჯეროვნად განხორციელების შემთხვევაში პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების უფლება აქვს აღმასკომს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის ყრილობაზე.

